



# ახალი ბასათლები

№15 (449) გაიშალა 1998 წლიდან

## უწიფესისა და უნეგანესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისკოპოსი

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს  
ხმელსა ნედლად.“  
(რუსთაველი)

ყოველდღისადაც მღვდელმთავარ-  
ნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მო-  
ნოზონნო, ყოველნო საერო დასნო, მკვიდრ-  
ნო საქართველოსა და დროებით ჩვენი ქვეყ-  
ნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებო ჩვენო  
ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!  
ეს სიტყვები პირველად ანგელოზმა ახარა  
კვირას, გამთენიისას, საფლავთან მისულ მე-  
ნელსაცხებულ დედებს;

ქრისტე აღდგა!  
სიხარულით გაოგნებულმა დედებმა ამც-  
ნეს მოციქულებს;

ქრისტე აღდგა!  
ეს სასწაული სასწაულთ შორის მოჰფინეს  
მოციქულებმა მთელ მოსოფლიოს;

და ჩვენც, არა მინიერი სიხარულით აღე-  
სილნო, ყველას გასაგონად ეხმობთ:

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!  
- მაგრამ რა არის მიზეზი ჩვენი ზვიმისა?  
- ის, რომ სიკვდილი განქარდა და ბჭენი  
ჯოჯოხეთისა შეიმუსრა; რომ დამთავრდა  
გარდაცვლილთა მარადიული სიკვდილის  
ტყვეობაში ყოფნა და ქრისტეს ყველა ჭეშმა-  
რიტ მადიდებელს ცხოვნების შესაძლებლობა  
მიეცა.

ამიტომაც ამიერიდან აღარ გვეშინია სიკ-  
ვდილისა, ვიცით რა, რომ მოვალს უამი, რო-  
დესაც სხვა მართლმონაშენე მიცვალებულ-  
თა მსგავსად ჩვენც აღდგებით საფლავიდან,  
რათა აღარასოდეს მოვკვდეთ.

მაგანი იტყვის: როგორ აღდგებიან  
მკვდარნი? - პაველე მოციქული მას ასე პასუ-  
ხობს: „განა არ იცი უგუნურო, რასაც შენ თე-  
სავ, ვერ იცოცხლებს თუკი არ მოკვდა? ასევე  
მკვდართა აღდგომისასაც: ითესება ხრწნი-  
ლებსაში, აღდგება უხრწნელებსაში; ითესება  
დამცირებაში, აღდგება დიდებაში, ითესება  
უძლურებაში, აღდგება ძლიერებაში, ითესე-  
ბა სხეული მშენიერი, აღდგება სხეული სუ-  
ლიერი“ (1 გალატ. 15, 35-36, 42-44).

ასე რომ, აღდგომის დღესასწაული ნათე-  
ლი დადასტურებაა მომავალში ჩვენი  
მკვდრეთით აღდგომისაც და განღმრთობი-  
საც.

უნდა ვიცოდეთ, რომ მართალთა სულების  
სავანეს ენოდება ზეციური ანუ მოზეიმე ეკ-  
ლესია, ხოლო დედამიწაზე არსებულ მართლ-  
მადიდებელ მონაშენეთა კრებულს - მებრ-  
ძოლი ეკლესია.

მოზეიმე და მებრძოლი ეკლესია, ეს არის  
ორი ნაწილი ქრისტეს ერთიანი სხეულისა,  
რომელიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული  
და ამასთან, მისი ღვთაებრივი მადლით არის  
მოცული და გაერთიანებული.

გარდაცვლილთა სულებთან ჩვენ ლოცვი-  
თი ურთიერთობა გვაქვს; ასევე მართალთა  
სულებს უფლის ნინაშე აგრძელებენ მოღვა-  
ნეობას და მინიერი მებრძოლი ეკლესიის და  
მისი წევრების შემწეობა და ღვთის ნინაშე მე-  
ოხნი არიან.

ყოველდღისადაც სამებასთან ყველაზე ახ-  
ლომდგომი და მთელი კაცობრიობისათვის

ყველაზე დიდი შუამდგომელი ყოვლადწმიდა  
ღვთისმშობელია; ბედნიერია ჩვენი ერი, რომ  
საქართველო მისი განსაკუთრებული მფარ-  
ველობის ქვეშ იმყოფება.

სასუფეველი ღვთისა იძულების, - გვას-  
ნავლის მაცხოვარი; ამიტომაცაა, რომ ადამი-  
ანის სურვილს და მონდომებას გადამწყვეტი  
მნიშვნელობა აქვს; ასე იყო ეს ყოველთვის.

გავისხენით, ორმოცი წელი დასჭირდა ებ-  
რაელ ერს აღთქმულ ქვეყანამდე მისვლისათ-  
ვის, თუმცა მათ ღმერთთან მოლაპარაკე მო-  
სე და სინმინდით შემოსილი აარონი წინამძღ-  
ვრობდნენ.

დიახ, შრომისა და ღვანლის გარეშე ვერც  
უფლის მიერ ბოძებულ მიწაზე დაემკვიდრა  
ძველი აღთქმის ისრაელი და ვერც სასუფე-  
ველს მოიპოვეს ახალი აღთქმის ნებისმიერი  
ადამიანი, ვინც უნდა იყოს იგი.

ჩვენ ვამბობთ: ჩვენთან არს ღმერთი და ეს  
ჭეშმარიტად ასეა, მაგრამ იმისათვის, რომ  
ჩვენც ვიყოთ ღმერთთან, საჭიროა სწორად  
ცხოვრება.

ჩვენ ვამბობთ: ივერია ყოველდღისადაც  
ღვთისმშობლის ნილხვედრია, მაგრამ ეს  
ნილხვედომილობა რომ ჩვენს დროშიც გამოე-  
ლინდეს, საჭიროა შესაბამისი სულიერი ნაბი-  
ჯების გადაღმა.

ებრაელებიც ამაცხობდნენ და მაცხოვრის  
წინაშეც იქადოდნენ, რომ აბრაამის შთამომავ-  
ალნი იყვნენ. იესო ქრისტემ კი უპასუხა,  
რომ აბრაამის და წინასწარმეტყველთა შვი-  
ლობა მათი საქმეების აღსრულებაში, ანუ  
სწორად ცხოვრებაში მდგომარეობს და არა  
მხოლოდ გენეტიკურ ნათესაობაში, რადგან  
ამ წინასწარმეტყველთა მკვლელებიც აბრაა-  
მის შთამომავალი იყვნენ.

როგორ უნდა მივხედეთ, სწორად ვცხოვ-  
რობთ თუ არა?  
ადამიანს უნდა ჰქონდეს რეალური შეგრძ-  
ნება იმისა, რომ ის არის მართალი სამშობ-  
ლოს, მოყვასისა და თვით თავისი მტრების  
წინაშეც;

რაც შეეხება ღმერთთან დამოკიდებულე-  
ბას, უფალთან მიმართებაში მართალი საერ-  
თოდ არავინაა, რადგან ცოდვისგან თავისუ-  
ფალნი არც წმინდანებია;

ესა თუ ის პიროვნება ოდენ ჭეშმარიტი სი-  
ნაწილითა და ღვთის მონყალებით განმარ-  
ტდება. დიახ, მხოლოდ გულწრფელი სინაწი-  
ლითა და აღსარებით შევძლებთ, აღვზოცოთ  
ჩვენი შეცოდებანი და მივალნიოთ იმ მდგომარ-  
ეობას, რომლის შესახებაც დავით წინას-  
წარმეტყველი ბრძანებს: „ნეტარ არს რო-  
მელსა არა შეერაცხა ცოდვები“ (ფს).

უფალთან ჩვენი დამოკიდებულება, მარ-  
თალია, ინდივიდუალურია, მაგრამ საზოგა-  
დოებისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა  
ჰქონდა და კვლავაც აქვს ხელისუფალთა  
რწმუნებას ან ურწმუნებებს.

ამის მაგალითად ჩვენი ისტორიის ერთ-  
ერთი რთული მონაკვეთი მინდა შეგახსენოთ,  
კერძოდ, XVII საუკუნე, როცა ერთმანეთის  
ახლო ნათესავი ორი ქართველი მეფე, - როს-  
ტომ ხანი და თეიმურაზ I, - მოღვაწეობდნენ.

როსტომმა ქრისტიანობა უარჰყუა; თავის  
გარშემოც ასეთნი შემოიკრიბა და უზნეოდ  
მცხოვრებს სურდა, ხალხიც მასავით გადაე-



ვარებულიყო. მის დროს „გამრავლდა სიძვა  
და არანმიდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორუ-  
ლი და დედათა თანა-აღრევა... ამასთან, ვინც  
ასე იქცეოდა, მეფისგან დაფასებული იყო,  
ხოლო სიმართლისმომქმენი, ცოდვისმომქ-  
მენი და წრფელი გულითა, იჩაგრებოდნენ“  
(ქართლის ცხოვრება).

როსტომ ხანის 26-წლიანმა ბატონობამ  
ქვეყანა სულიერი დაღუპვის პირამდე მიიყ-  
ვანა, მაგრამ ერმა დაძლია ეს განსაცდელი.  
ამისი ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი  
ისიც იყო, რომ ამავე პერიოდში მეფობდა თე-  
იმურაზ I, რომელმაც საოცარი ცხოვრება  
განწყო.

ღვთისა და ქვეყნის ერთგულებისთვის მას  
შაჰ-აბასმა ნამებით მოუკლა დედა, - დიდმო-  
წამე ქეთევან დედოფალი, ორი მცირეწლოვა-  
ნი ყმანწილი და ქალიშვილი, ხოლო მესამე ვა-  
ჟი, დავითი, სამშობლოსთვის ომს შეენირა.

მტერთაგან შევიწროვებულ თეიმურაზს  
რამდენჯერმე მოუწია თავისი სამეფოს და-  
ტოვება, მაგრამ მარცხს არასოდეს ურიგდე-  
ბოდა; პირველივე შესაძლებლობისამებრ  
ბრუნდებოდა და განახლებული ძალით გა-  
ნაგრძობდა სიტყვით და საქმით ქვეყნის მსა-  
ხურებას.

ჭარმაგი მეფე 71 წლის ასაკში ბერად  
აღიკვეცა. რჯულის მტკიცე დამცველს ბო-  
ლო გამოცდის ჩაბარება სპარსეთში მოუწია,  
სადაც ქრისტეს აღმსარებლობისათვის შე-  
იპყრეს და ციხეში დაატყვევეს. აქ იგი მალე-  
ვე გარდაიცვალა.

რწმუნისა და მამულისადმი ერთგულებით,  
ვაჟკაცობითა და სიმტკიცით იგი ღვთისთვის  
და ეროვნული მეობისათვის გაუტყებელი  
ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ამ თვისებების  
გამო მას სანიშნუში მაგალითად მიიჩნევა  
არა მარტო მისი ერთგული ხალხი, არამედ  
შინაური თუ გარეშე მტერიც. „თათრებსაც  
ბევრსა ერწმუნა, მივლენ უნთებენ სანთელ-  
სა... მისებრი სახელოვანი დედამ სხვა ვერვინ  
შობოსა“, - წერს არჩილ მეფე.

წარსული იმიტომ გავისხენით, რომ იგი  
გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი  
და მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობი-  
სათვის.

ახლა განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს ქრის-  
ტიანული თვალსაზრისით ადამიანის სწორი  
დამოკიდებულება სამშობლოსადმი.

თითოეული ჩვენგანი უნდა ეცადოს გააკე-  
თოს მაქსიმუმი იმისა, რისი პასუხისმგებლო-  
ბაც მას აკისრია. ესაა მისი მსახურება ქვეყ-  
ნისადმი.

გვერდი 2

ბიზიან ბაიკის  
სონეზუი  
გვერდი 6-7

გაკალიული თეა -  
გაგუი და გვილეი

გიოლოგიის  
გაკვეთილი.

VII კლასი  
გვერდი 8

თეაარ და აკაკი  
გაკვეთილი  
სსოვნის ღვეუი  
გვერდი 11

### ძვირფასო მკითხველო!

საქართველოს ზოგადსაგანმანათ-  
ლებლო სივრცეში, დიდი ხანია, კერძო  
სკოლები სიხალე აღარ არის. მეტიც, სა-  
ხელმწიფო სკოლებთან შედარებით,  
ბევრი მათგანი უფრო პრესტიჟულადაც  
მიიჩნევა, რაც სკოლებს შორის გარკვე-  
ულ კონკურენციასაც აჩენს.

რედაქციამ განაწყვიტა, რუბრიკაში:  
„წარმოგიდგინოთ კერძო სკოლას“ -  
მკითხველს კერძო სასწავლო დაწესებუ-  
ლებები გააცნოს საგანგებო წერილე-  
ბით, რომლებიც, გარკვეული პერიოდუ-  
ლობით, გაზეთის ვებგვერდზე -  
[www.axaliganatieba.ge](http://www.axaliganatieba.ge) განთავსდება.  
მსურველებს საშუალება ექნებათ, ამა  
თუ იმ სკოლისთვის ხმის მიცემით, გა-  
მოაგლინონ მაღალი რეიტინგის მქონე  
სასწავლო დაწესებულება.

ვთავაზობთ კერძო სკოლებს, საქარ-  
თველოს მასშტაბით, მოგვანოდონ ინ-  
ფორმაცია თავიანთ სასწავლებლებზე,  
2009 წლის ნოემბრის ჩათვლით. ხმის  
მიცემა 2009 წლის 15 დეკემბერს შეწყ-  
დება, შედეგები შეჯამდება და სამი მა-  
ღალი რეიტინგის მქონე სკოლა რედაქ-  
ციისგან „ახალის განათლების“ 2010  
წლის ხელმწიფო დასაჩუქრდება.

„ახალი განათლების რედაქცია“



ბამოკითხვა

# რას ფიქრობენ მეთორმეტკლასელები სახელმძღვანელოების, ეროვნული გამოცდების, რეპეტიტორების და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ

მასთანავე ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარი“

**ლამა ცუცქერიძე:**

ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ მე-12 კლასი სრულიად ზედმეტი იყო. პირადად მე არაფერი შემმატა იმიტომ, რომ სახელმძღვანელოები არაფერში არ გვემარება, ამიტომ არც არაფერი შემიძენია. მხოლოდ ორი სახელმძღვანელო მაქვს – ქართულის და მათემატიკის, მაგრამ იმასაც არ ვატარებ. მართალია, ქართულის წიგნი ძალიან საინტერესოა, მაგრამ დროის უკმარისობის გამო, საშუალება არ გვაქვს, საფუძვლიანად შევისწავლოთ თითოეული ნაწარმოები, რადგან საგამოცდო პროგრამას არ ემთხვევა, თან ძალიან დიდია. ერთადერთი წიგნია ინგლისური, რომელიც ემთხვევა მისაღების პროგრამას, თან საკმაოდ მარტივი და გასაგებია. ჩვენს სკოლაში მისაღები პროგრამის მიხედვით ვემზადებით.

**ანი მახათაძე:**

XII კლასის დამატება არცთუ ისე შედეგიანია, ცოტა განვიღივებთ, ერთადერთი გადამწყვეტილების მიღებაში დამეხმარა, რადგან საკმაოდ დიდი დრო მქონდა. ქართულის წიგნი მომწონს. მასში ძალიან საინტერესო მწერლები და ნაწარმოებებია წარმოდგენილი, მაგრამ რადგან მოცემული მასალა საერთოდ არ ემთხვევა მისაღები გამოცდების პროგრამას, ამიტომ ვერ ვახერხებ, რომ საფუძვლიანად შევისწავლო. ჩვენ, ძირითადად, არ ვსწავლობთ მე-12 კლასის სახელმძღვანელოებით. საბუნებისმეტყველო საგნებზე ვერაფერს გეტყვით, იმიტომ რომ საერთოდ არ ვავდივართ. რაც შეეხება მათემატიკას, ესეც საკმაოდ დიდი წიგნია და იგივე პრობლე-



მა, ანუ არ ემთხვევა პროგრამები, ამიტომ სხვა სახელმძღვანელოთი ვსწავლობთ. უცხო ენის წიგნი საერთოდ არ მინახავს, ჩვენ უცხო ენებს გაძლიერებულად ვსწავლობთ და სხვა წიგნებიდან. რეპეტიტორებთან არ ვემზადები.

**დიტო ხვიჩია:**

XII კლასის შემოღება ნამდვილად არ იყო საჭირო, ერთი წელი ტყუილად დავეკარგეთ. ჩვენთვის 11 წელი საკმარისი იყო იმისათვის, რომ გასულ წელს, წარმატებით ჩავგებარებინა. ამისთვის, თითქ-

მის, ყველანი მზად ვიყავით, მაგრამ არ გადავედით რუსულ სკოლაში და მოგვინია, კიდევ ერთხელ, ყველაფრის თავიდან გამეორება. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, მომწონს ქართულის სახელმძღვანელო, როგორც კარგი საკითხავი და საინტერესო წიგნი, მაგრამ მასში ერთი ნაწარმოები და ერთი ლექსიც არ ემთხვევა მისაღები გამოცდის პროგრამას. ამიტომ გვერდზე გადავდე, არადა კარგი იქნებოდა ეს მასალა საპროგრამო რომ ყოფილიყო, მაშინ უფრო საფუძვლიანად შევისწავლიდით. თუმცა, ვახერხებ,

რომ დრო გამოვნახო და ეს წიგნი წავიკითხო. ჩემი აზრით, არც ისეთი გადატვირთულია, აბიტურიენტმა რომ ამისთვის დრო ვერ გამოვნახოს. სკოლის მერე თავისუფალი ვარ, რადგან რეპეტიტორებთან არ ვავდივარ, სკოლა მიქმნის ყველა პირობას, რომ საფუძვლიანად მოვემზადო ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.

**სალომე ხაბიშვილი:**

სკოლაში, თითქმის, არ ვავდივარ, რადგანაც ვავდივარ რეპეტიტორებთან. მარტო ქართულის სა-

ხელმძღვანელო მაქვს, ისიც იმიტომ შევიძინე, რომ მიჩვიე, საინტერესო წიგნიაო, თორემ მისაღები გამოცდების პროგრამას რომ არ ემთხვეოდა, ვიცოდი. ვფიქრობ, მე-12 კლასი იმიტომ შემოიღეს, რომ საჭირო იყო. ალბათ დრო სჭირდება იმას, რომ რეპეტიტორის გარეშე, მხოლოდ სკოლის ცოდნით მოახერხო უმაღლესში ჩაბარება.

**ბექა ყალიჩავა:**

ვფიქრობ, რომ XII კლასი სრულიად გაუმართლებელია, არ იყო საჭირო, 18 წლის ადამიანს რა უნდა სკოლაში? ჩემი აზრით, ასეთ ასაკში სკოლაში სიარული შეუფერებელია, თან მეორე და ყველაზე მთავარი პრობლემა ის არის, რომ არცერთი სახელმძღვანელო მასალა არ ემთხვევა მისაღები გამოცდების პროგრამას. ერთადერთი წიგნი, რომელიც მომწონს, არის ქართულის სახელმძღვანელო. მართალია, ამ წიგნით არ ვსწავლობთ, მაგრამ მასში ბევრი თანამედროვე მწერლის ნაწარმოებია თავმოყრილი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს, გაეცნონ თანამედროვე ლიტერატურას, ისწავლონ თანამედროვე ისტორია. თუმცა, ცოტა დრო მაქვს იმისთვის, რომ დრო არაპროგრამულ მასალასაც დავუთმო. სკოლაში ვსწავლობთ იმას, რაც მისაღები გამოცდებისთვის გვჭირდება. უმაღლესში ჩასაბარებლად მათემატიკაც მჭირდება, მაგრამ სკოლის წიგნით არ ვსარგებლობ. მხოლოდ მათემატიკაში ვემზადები, უნარებს სკოლაში საფუძვლიანად ვსწავლობ და რეპეტიტორი ნამდვილად არ მჭირდება.

ესაუბრა თამუნა ჭანტუშია

ინფორმაცია

## ჩვენ გვიყვარს ნოდარ დუმბაძე

ამ დღეებით 124-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – ელენე შაბუ-რიშვილი) დიდი წარმატებით ჩატარდა ყველასათვის საყვარელი მწერლის, ნოდარ დუმბაძის 80 წლისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კვირეული.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კოორდინატორის, პრეზიდენტის სტიპენდიანტი მასწავლებლის – თინა ონიანისა და კათედრის გამგის – იზო გურგენიძის

ხელმძღვანელობით მოეწყო საინტერესო ღონისძიებები: მოსწავლეთა კონფერენცია, პედაგოგიური კითხვა, ინსცენირებული სპექტაკლი, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „იქნებ ვაზია სამშობლო“.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის – ციცო ყურაშვილის მიერ VIII<sup>2</sup> კლასში ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილი, თემაზე – „პირველი სიყვა-

რული“. გაკვეთილი ინტეგრირებული იყო გეოგრაფიასთან (მასწავლებელი – რუსუდან მურცხვალაძე), ისტორიასთან (მასწავლებელი – მანანა ასანიშვილი) და ხელოვნებასთან (მასწავლებელი – დალი ცეკვავა). მოსწავლეთა მიერ შედგენილი სცენარებიდან საუკეთესოდ ცნეს თინიკო ხაჩიძის სცენარი, რომლის მიხედვითაც მისმა თანაკლასელებმა როლური თამაშები შეასრულეს. მათ განასახიერეს ნო-



დარ დუმბაძის ნაწარმოების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მიხედვით შექმნილი თანამედროვე პერსონაჟები.

ბავშვები ყველაზე მეტად ოღლა ბებიას „დოხტური“ შევილიშვილის, ზურიკელას როლის შემსრულებლის, ბატონი სერგო ორჯონიკიძის სტუმრობამ გაახარა. პრეზიდენტის სტიპენდიანტი მასწავლებლებთან ერთად, გაკვეთილს ესწრებოდა ისან-სამგორის რაიონის საგანმა-

ნათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი – ირინა გოგონაია. იყო გულახდილი საუბრები, დუმბაძისეული იუმორი, განცდილითა და ნაწახით გამოწვეული ცრემლები.

ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ 124-ე საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს.

**მარინე მამარლაშვილი**

124-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

# ჰაიდელბერგის ენების აკადემიის წარმომადგენლობა საქართველოში

2008 წლის დეკემბერში გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს სასწავლო ცენტრ „GLC“-სა და ქალაქ ჰაიდელბერგის ენების აკადემია F+U-ს შორის და ამ დროიდან „GLC“ არის ჰაიდელბერგის ენების აკადემიის წარმომადგენელი ყველა პროგრამის მიხედვით. ხელშეკრულება პროგრამულ და მეთოდურ უზრუნველყოფასთან ერთად ითვალისწინებს ყოველწლიურად 10 პედაგოგის გადამზადებას F+U-ში.

ენების აკადემია თავისი მომსახურების ხარისხს სრულყოფს ენის ტურების ორგანიზებით ყველა კონტინენტზე. ყველა ევროპული ენის მიხედვით კურსების ორგანიზება, ასაკის შეზღუდვად, შესაძლებელია უკვე თბილისში, ისევე, როგორც სასერტიფიკატო და სადიპლომო გამოცდებისათვის მომზადება, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ენების კურსებსა და გამოცდებზე მსურველთა რეგისტრაცია და გამგზავრების ორგანიზება.

წარმომადგენლობა მაისიდან ბინას დაიდებს ვაჟა-ფშაველას გამზირზე, სადაც განთავსდება ძირითადი ოფისი და რამდენიმე საკლასო ოთახი. კურსები განთავსდება აგრეთვე „GLC“-ს ბაზაზე.

ჰაიდელბერგის ენების აკადემია F+U მდებარეობს ქალაქ ჰაიდელბერგის სიცოცხლით სავსე ცენტრში, მდინარე ნეკარიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით.

F+U არის ენების ერთ-ერთი უდიდესი სკოლა გერმანიაში, სადაც ყოველწლიურად, დაახლოებით, 4000 სტუდენტი ესწრება ენის შემსწავლელ კურსებს.

აკადემიის ხუთი საერთო საცხოვრებელი 220 ოთახით სტუდენტებს მთელი წლის განმავლობაში ხელმისაწვდომი ფასებით სთავაზობს თავშესაფარს.

ენების აკადემია არის TestDaF-ის, DSH-ისა და TOEFL-ის ტესტირების ცენტრი და, შესაბამისად, განსაკუთრებული ხარისხით ასწავლის ენებს.

ენების აკადემიის ტესტების ცენტრში TestDaF-ის, DSH-ისა და TOEFL-ის გარდა შესაძლებელია შემდეგი გამოცდების ჩატარება: TOEIC, გერმანული ენის სერტიფიკატი, ბიზნესგერმანული სერტიფიკატი, სერტიფიკატი ინგლისურ ენაში,



ლონდონის ვაჭრობისა და ინდუსტრიის პალატის გამოცდები (ევროპული სერტიფიკატი გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, რუსულ, ესპანურ და სხვა ენებში), კომპიუტერის პროგრამისტიკის ევროპული სტანდარტების შესაბამისი სერტიფიკატი, ბიზნესექსპერტის ევროპული ლიცენზია, TestAS (სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს უცხოელი აპლიკანტის სწავლისუნარიანობას), OnDaF (ინტერნეტტესტი) და სხვ.

აკადემია თანამშრომლობს ფრანგული ენის ინსტიტუტ IF2-თან და გვთავაზობს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ფრანგული ენის კურსებს. IF2 განთავსებულია F+U-ს შენობაში და წარმოადგენს ფრანგულში DELF და DALF გამოცდების ლიცენზირებულ ცენტრს.

ინგლისური, ფრანგული, იტალიური და ესპანური ენების

ინტენსიური და საღამოს კურსები მთელი წლის განმავლობაში ხელმისაწვდომი და მათ ესწრებიან ისეთი საერთაშორისო კომპანიებისა და კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები, როგორებიცაა: SAP, ლუფთჰანზა, ჰაიდელბერგის დრუკი, ჰაიდელბერგის ცემენტი, სიმენსი, დაიმლერი, PFW აეროსფისი, ლაიკა, BASF, EMBL, EML, DKFZ, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი და ასამდე სხვა კომერციული და სამეცნიერო ინსტიტუტი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 2004 წელს დაარსებულ უცხო ენების პროფესიულ სკოლას, სადაც შესაძლებელია დაუფლო უცხო ენების მდივან-რეფერენტის პროფესიას და მდივნის კვალიფიკაციას ევროსტანდარტების მიხედვით. 2008 წლის ზაფხულში გაკეთდა განაცხადი სახელმწიფოსაგან მთარგმნელ-თარჯიმნის სატრენინგო კურსების აკრედიტაციის მისაღებად. სკოლა უკვე გვთავაზობს მოსამზადებელ კურსებს IHK-ის (კომერციისა და ინდუსტრიის პალატის) მთარგმნელ-თარჯიმნის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად.

2006 წლიდან ენების აკადემია გვთავაზობს ჩინური და იაპონური ენების ინტენსიურ კურსებს და შესაძლებელია ამ ენების რეფერენტის კვალიფიკაციის მოპოვება.

ენების აკადემია F+U ახორციელებს ევროდისეისა და ლეონარდო და ვინჩის სტაჟირობის პროგრამებს. ამ პროგრამების მეშვეობით ახალგაზრდებს, ევროპის 40-ზე მეტი რეგიონიდან, შესაძლებლობა ეძლევათ, აიღონ ენის შემსწავლელი კურსი ევროპის სხვა ქვეყანაში ან ჰაიდელბერგში და, ამავდროულად, გაიარონ სტაჟირება შესაბამისი რეგიონის რომელიმე კომპანიაში.

ქართველ ახალგაზრდებს, და არა მარტო მათ, შეუძლიათ ისარგებლონ ყველა აღნიშნული სიკეთით ჰაიდელბერგის ენების აკადემიის წარმომადგენლობის დახმარებით. ყველა ინფორმაცია განთავსებულია „GLC“-ს ვებგვერდზე: [www.glc.school.ge](http://www.glc.school.ge).

# სწავლება რეპეტიტორის გარეშე შედეგებზე ორიენტირებული სკოლის ძირითადი მიზანი

„მრავალწლიანი ძიებისა და გამოცდილების შედეგია სკოლა, რომლის მიზანია არა მხოლოდ მაღალი განათლების მიცემა ახალგაზრდისათვის, არამედ იმ პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება, რომლებიც აუცილებელია თანამედროვეობისათვის. ჩვენთვის ძალიან ძვირფასია ბავშვის ნატიფი სულიერი სამყარო, რომლის ჰარმონიული განვითარება და სრულყოფა მშობლის, პედაგოგის, უბრალოდ, ყველა ადამიანის მოვალეობაა“ – ამბობს GLC-სკოლის დირექტორი მარინა დეკანოიძე.

სკოლა 1995 წლის სექტემბერიდან უმზადებდა მოტივირებულ აბიტურიენტებს იმთავითვე გამორჩეულ უმაღლეს სასწავლებლებს – ESM-თბილისს, კავკასიის ბიზნესის სკოლას, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, CAC-სა და ქართულ-ბრიტანულ უნივერსიტეტს. სკოლის ძირითადი მიზნისა და განათლების რეფორმის შესაბამისობა ნათლად გამოჩნდა კურსდამთავრებულთა მიღწეული შედეგებით ერთიან ეროვნულ გამოცდებზეც. ამის დასტურია აბიტურიენტთა 100-პროცენტითი ჩარიცხვა და გრანტის მოპოვების 75-80 პროცენტითი მაჩვენებლები ყოველწლიურად.

სკოლის შენობა ხუთსართულიანია. ნათელი საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ავტონომიური გათბობით, თანამედროვე სასკოლო ინვენტარით, თვალსაჩინოებითა და ტექნიკით. მოსწავლეებს ემსახურება უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი მუდმივი ინტერნეტით, სასკოლო ბიბლიოთეკა (სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა ქართულ და უცხო ენებზე), სასწავლო კაბინეტები, სააქტო და სპორტული დარბაზები, სამხატვრო და მუსიკალური სტუდიები.

სკოლაში სულ 84 პედაგოგია. მათგან 8 – მეცნიერებთა კანდიდატია, 38 სრულყოფილად ფლობს უცხო ენებს, 4 პედაგოგს ევროპული განათლება აქვს მიღებული. მასწავლებელთა საშუალო ასაკი 36 წელია.

ჩვენი მნიშვნელოვანი შენაძენია სასწავ-



ლო ბანაკის თანამედროვე, საკუთარი შენობა ქობულეთში, სადაც წლის განმავლობაში ყველა ბავშვი ისვენებს. აქვე ფუნქციონირებს სკოლის განყოფილება – ზღვისპირა ლიცეუმი და საბავშვო ბაღი.

სკოლის წარმატებები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ყოველთვიური, სემესტრული და წლიური რეიტინგული სისტემით. ყოველთვიურ რეიტინგებს დიდი როლი და ფუნქცია აკისრია, რადგან, გარდა იმისა, რომ აფასებს მოსწავლის ცოდნის დონეს, აკონტროლებს მის ყოფაქცევასა და არასაპატიო გაცდენებს. რეიტინგი ბავშვს აიძულებს, ისწავლოს სტაბილურად, არ აძლევს მოდუნების საშუალებას. მოსწავლეთა პასუხისმგებლობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც რეიტინგების შედეგები სკოლის ვებგვერდზე

განთავსდა. ბავშვები დადებითად აფასებენ რეიტინგულ სისტემას, იძენენ ისეთ თვისებებს, როგორცაა: თვითმეფასება და ჯანსაღი შეფასების უნარი. დაწყებით კლასებში შეფასების ასეთი სისტემა ბავშვებს სამართლიანობის გრძნობას უღვივებს და ფსიქოლოგიურად ამზადებს სწავლების შემდგომი საფეხურისათვის. მაღალ საფეხურზე კი ის მაღალი აკადემიური მაჩვენებლების გარანტიად გვევლინება. მომავალი სასწავლო წლიდან რეიტინგებს დაემატება მოდულულების სისტემა, რაც კიდევ უფრო გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

სკოლას საინტერესო საერთაშორისო კავშირები აქვს. ის ევროპის მოხალისეთა ლიგის წევრია. ევროპის ქვეყნების ბევრმა ახალგაზრდა პედაგოგმა გაიარა სტაჟირება სკოლაში. ლიგის ეგიდით მოსწავლეები სხვადასხვა

ქვეყნის შრომით ბანაკებში ყოველწლიურად ისვენებენ. საზაფხულო ბანაკები თავისი მოღვაწეობით მონაწილეებია ხელი შეუწყოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა დაახლოებასა და ახალგაზრდების შორის მეგობრობის განმტკიცებას, მათი მოქალაქეობრივი აქტიურობის ზრდას. GLC-სკოლამ, ევროპელი პარტნიორების მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, შექმნა საზაფხულო ბანაკები მოზარდებისათვის თბილისსა და ქობულეთში.

GLC-სკოლა, ამავე დროს, მიმწოდებელია გერმანიის ერთ-ერთი რეიტინგული სკოლის – შონდორფის გიმნაზიისათვის. ეს ყველაზე მოკლე გზა ევროპული განათლების მიღების მსურველი ახალგაზრდებისათვის. ამავე მიზანს ემსახურება ჰაიდელბერგის ენების აკადემიასთან სკოლის ერთობლივი საქმიანობაც.

სკოლის ერთ-ერთი წარმატებული პროექტია რესპუბლიკური ტესტირება-კონკურსი „ლიდერი“, რომელიც ESM-თბილისთან ერთად ყოველწლიურად იმართებოდა ორ ტურად. პირველი ტური თბილისსა და რეგიონულ ცენტრებში, მეორე ტური – თბილისში, პირველ ტურში გამარჯვებული მოსწავლეებისათვის. ამ შემდგომიდან ისევე აღდგება ეს ტრადიცია და GLC-სკოლა ჩვენი ქვეყნის ყველა სკოლის მოსწავლეს, ოდნავ შეცვლილი ფორმატით, კვლავ შესთავაზებს თავის გამოჩენისა და საინტერესო პრიზების მოპოვების საშუალებას. კონკურსის ზედამხედველებად – ტუტორებად კი კვლავ GLC-სკოლის მოსწავლეები მოგვევლინებინათ, რომლებიც ამ დავალებას უდიდესი სიამოვნებითა და მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებენ.

ახალ შევსებას სკოლა პირველკლასელების სახით აპრილის დასაწყისიდან უკვე დაიწყო, ხოლო სხვა დანარჩენი უკვასიისათვის ღია კარის დღე 30 მაისს გაიმართება.

GLC-ელების მიერ გასავლელი „ეკლიანი გზა – ვარსკვლავებისაკენ“ მიმავალი, შემდგომი წარმატებული ცხოვრების საწინდარია.

# დაღაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება კონკურსის სახით ჩატარდა



ბავშვთა პარმონიული განვითარების ცენტრის თანამშრომლები და ჟიური



გამარჯვებული კონკურსანტი ნელი ლატარია პედაგოგებთან - მედიკო ბაკარანძესა და თორნიკე ჩიხლაძესთან ერთად

ქართული ენა კურთხეულია ბიბლიაში: „და ენა ესე, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა.“ უამრავ დასაცველსა და გასაფრთხილებელ-გადასარჩენს შორის, რომელიც ყოველთვის ჭარბად ჰქონდათ ქართველებს, უპირველესად ენის, მამულისა და სარწმუნოებისთვის თავდადებას მიიჩნევენ.

საუკუნეების შემოტევას გადაურჩა ქართული ენა. გაუძლო ოსმალთა და სპარსთა, არაბთა, მონღოლთა, სხვათა გაუსაძლის ზენოლას. სარწმუნოებასა და მამულთან ერთად, ენაც შეინარჩუნეს იბერებმა. თუმცა, ეს გადარჩენა ლამის საბოლოო განაჩენად დაუჯდა ერს. და მინც, მოუდრეკელი სული, დაუმორჩილებელი გენი ქართველებისა, კვლავაც მზად იყო და შემართულიც გახლდათ სამი უპირველესი მცნების ისე სიცოცხლის გაღების ფასად დაცვისთვის.

აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ბავშვთა პარმონიული განვითარების ცენტრის (დირექტორი - ქალბატონი **ლელია ბაღაია**) ინიციატივით, ზუგდიდში, დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება კონკურსის სახით ჩატარდა. სულსჩამდგმელი და ორგანიზატორი ბავშვთა პარმონიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **ნესტან ზუზბაია** იყო. ასისტენტობას უწევდნენ ცენტრის სპეციალისტი პედაგოგები, ქალბატონები: **ეთერ ფიფია** და **ლუდმილა ჩიკვატია**. საღამოს უძღვებოდა ნამყვანი სპეციალისტი, ფილოლოგი, ქალბატონი **მედეა ზუზბაია**. სწორედ მან მოამზადა კითხვები მონაწილეებისათვის. შერჩეულ იქნა კომპეტენტური ჟიური: თავმჯდომარე - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბატონი **ოთარ აძინბაია**; ისტორიკოსი, კონფლიქტის ზონის, ოტობაის №1 საჯარო სკოლის დირექტორი, ბატონი **გელა რატი**; აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის ფილოლოგი, ქალბატონი **ირმა მატარაძე**.

ილია ჭავჭავაძე, ვალაკტიონ ტაბიძე. სწორედ ამიტომ ვაფასებთ ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვს. ჩვენი ახალგაზრდობა კარგად უნდა ჩანვდეს დედაენის არსს და მნიშვნელობას. ვნუხვარ, რადგან აფხაზური არ ვიცი. რატომ არ უნდა ვიცოდე, როდესაც აფხაზეთის ძირძველი მცხოვრები ვარ, ეს ჩემი შეცდომაა და არ მინდა, მომავალმა თაობამ ეს შეცდომა დაუშვას.

არაჩვეულებრივი მასპინძლობისთვის დიდი მადლობას მოვასხებნებთ აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ **ლელია ზუზბაიას**. რაც აღნიშნული სკოლის დირექტორი გახდა, აქ აშკარად იგრძნობა სასიამოვნო გარემო, პატრიოტული სულისკვეთება, ბევრი რამ უკეთესობისაკენ შეიცვალა: გალაშქრდა ეზო, შენობა, გაშენდა ყვავილნარი. ყველა ღონე მიმართულია იქითკენ, რომ მოსწავლეები და პედაგოგები არ ჩამორჩნენ სიახლეებს. მან გვერდში ამოიყენა პედაგოგიური კოლექტივი სკოლის აღსაზრდელებთან ერთად. ეს ხელმძღვანელის განსაკუთრებულ ნიჭსა და უნარზე მეტყველებს. აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები აქტიურად იყვნენ ჩართულნი კონკურსის მოსამზადებელ სამუშაოში, რაც დასაფასებელია და მადლობის თემის ღირსია.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ბატონი **ოთარ აძინბაია**: „კონკურსზე 16 სკოლა იყო წარმოდგენილი და 16 ახალგაზრდა მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ენგურს გაღმა ცხოვრობენ, მათ გამოამყვანეს ძალიან კარგი ცოდნა და აქტიურობა. ეტყობოდათ საოცარი მონდობა და ნაკითხობა. იქ მოსწავლეებს ქართულად ლაპარაკს და სწავლას უკრძა-

ლავენ. პედაგოგები კონფლიქტის ზონაში აღსაზრდელებს მალულად ასწავლიან ქართულს. დღეს ძალიან უჭირს დედაენას. განსაკუთრებით კი აფხაზეთში და სამაჩაბლოში. იმედია, მდგომარეობა გამოსწორდება, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ქართული ენა ისევე აღდგება, ვითარცა ლაზარი. ქართულ ენაზე დაინერა რუსთველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. ქართულმა ენამ მრავალ საუკუნეს და ქართველს გაუძლო. ენა ჩვენი ერის მყარი საყრდენია, ბურჯია. ვიყით პოლიგლოტები, მაგრამ მშობლიური ენა, უპირველეს ყოვლისა, გულში უნდა ჩავიხუტოთ. მშობლიურ, ქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების ხმა მთელ მსოფლიოს უნდა მივანდინოთ და დავანახოთ ყველას, რომ ქართველ ერს სასწაულების მოხდენა ნამდვილად შეგვიძლია. მივესალმებით ასეთ საინტერესო კონკურსებს. სასურველია, ყოველ ნელს მივანდინოთ და დავანახოთ ყველას, რომ ქართველ ერს სასწაულების მოხდენა ნამდვილად შეგვიძლია. მივესალმებით ასეთ საინტერესო კონკურსებს. სასურველია, ყოველ ნელს მივანდინოთ და დავანახოთ ყველას, რომ ქართველ ერს სასწაულების მოხდენა ნამდვილად შეგვიძლია.“

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ბავშვთა პარმონიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **ნესტან ზუზბაია**: „ღონისძიების იდეის ავტორი გახლდათ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე, ქალბატონი **სალომე კაპანაძე**.“

სწორედ მან დაანესა 1 ადგილის მფლობელობისთვის განსაკუთრებული ჯილდო - ძალიან საინტერესო ნივთი „**აღმოაჩინე იდუმალი მსოფლიო**“ და დიპლომი. ჩვენმა ცენტრმა კონკურსის ყველა მონაწილე დააჯილდოვა მცირედი საჩუქრით - ნივნებით. აღსანიშნავია, რომ კონკურსანტები ძალიან კარგად იყვნენ მომზადებულები, რაც მათი პედა-

გოგების უდიდესი ძალისხმევის შედეგია. აფხაზეთში ამჟამად არსებული დაძაბული ვითარების მიუხედავად, მონაწილეებმა, სიცოცხლის რისკის ფასად, მინც მოახერხეს ჩამოსვლა ზუგდიდში და დროულად გამოცხადდნენ კონკურსზე. ამისათვის დიდი მადლობა მათ მშობლებს და პედაგოგებს.“

ბავშვთა პარმონიული განვითარების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, ფილოლოგი, ქალბატონი **მედეა ზუზბაია**: „ქართველმა ერმა დიდი სიყვარულით, რუდუნებითა და სასოებით მოიტანა ჩვენი ენა დღევანდლამდე და ძველიც კი დაუდგა. დღეს ძნელბედობის ყამი უდგას დედაენას. კონფლიქტის ზონაში პედაგოგები მოსწავლეებს დიდი რისკის ფასად ასწავლიან ქართულ ენას. მჯერა, აფხაზეთის მინაზე მრავალყამ იზიემებს სიტყვა ქართული და დედაენის მადლი მომავალ თაობებს არ მოაკლდება. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ნათლად დაგვანახა სხვა ენების ცოდნის აუცილებლობაც. მაგრამ ჩვენ, ისე როგორც არასოდეს, უნდა გაეფრთხილდეთ, დავიცვათ და მოვფეროთ ქართულ ენას. ბავშვთა პარმონიული განვითარების ცენტრი (ქალბატონები: **ნესტან ზუზბაია**, **ეთერ ფიფია**, **ლუდმილა ჩიკვატია** და სხვები), პედაგოგების მხარდაჭერით, ვიბრძობებთ თქვენი მომავლისათვის, ინტელექტისთვის, ერთიანი საქართველოსთვის და, რაც მთავარია, ქართული ეროვნული ფესვების გადასარჩენად.“

კონკურსის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული, 1 ადგილის მფლობელი, აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე **ნელი ლატარია**, რომელიც დამსახურებულად ლიდერობდა ყველა ტუ-

რის შედეგების მიხედვით. როგორც პედაგოგებმა და მშობლებმა აღნიშნეს, ღონისძიება საუკეთესოდ იყო მომზადებული.“

პედაგოგები, მშობლები და დამსწრე საზოგადოება ჟიურისთან დაბატებშიც მონაწილეობდნენ. ყველას შეეძლო საკუთარი იდეის მიწოდება კომისიისთვის. განსაკუთრებით აქტიურობდა დამსახურებული პედაგოგი, აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ბატონი **თენგიზ ჩაკაბერია** - ცდილობდა ინოვაციების დანერგვას, რისთვისაც ბატონმა **ოთარ აძინბაიამ** დიდი მადლობა გადაუხადა მას. კონკურსი ღია და გამჭვირვალე იყო.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები - აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის წარმომადგენლები (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში), ბატონები: **ზვიად გადე-ლია** და **კობა მალიშავა**. კონკურსი მუსიკალურად გააფორმა ერთ-ერთმა მონაწილემ - **თამთა შამუგამ**.

### ასმათი შამუგამი

**P.S.** აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი - ბატონი **ალექსანდრე ალაკოვი**, მისი პირველი მოადგილე - ქალბატონი **სალომე კაპანაძე** და სხვა მონაწილე სტუმრები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და გადაუდებელი საქმეების გამო, სამუხებაროდ, ვერ ჩამოვიდნენ ზუგდიდში. ისინი, მთელი დღის განმავლობაში სატელეფონო ხაზზე იყვნენ ბავშვთა პარმონიული განვითარების ცენტრის თანამშრომლებთან, საღამოზე დამსწრე საზოგადოებასთან და სტუმრებთან. მათ დიდი გულსტკივილი გამოთქვეს, რომ ვერ დაესწრნენ ასეთ ღამაზ ღონისძიებას.



ზვიად გადელია, კობა მალიშავა და თენგიზ ჩაკაბერია



კონკურსის ჟიურის წევრები ნამუშევრების გასწორების პროცესში





ბიოლოგია

მარადიული თემა - მამები და შვილები

სტანდარტი: XII კლასი.

თემა: ფრანც კაფკა - „წერილი მამას“ და ჯიბრან ხალილ ჯიბრანი - „შვილები“.

სასწავლო მიზნები: წერილების ავტორების ძირითადი სათქმელისა და მიზანდასახულობის განსაზღვრა, წერილების დაკავშირება მარადიულ თემასთან „მამები და შვილები“.

აქტივობა: „მრგვალი მაგიდა“ - თანაბარ საწყისებზე მონაწილეობენ მოსწავლეთა ჯგუფები (4-5 კაცი ერთ ჯგუფში). ხდება აზრთა ურთიერთგაცვლა როგორც ჯგუფების შიგნით, ასევე სხვა ჯგუფებთან.

მოსალოდნელი შედეგი: მოსწავლე ადარებს სხვადასხვა დროის, ეპოქის, კულტურული კონტაქტისა და პრობლემების ამსახ-

ველ ტექსტებს და მსჯელობს მათ მსგავსება-განსხვავებაზე. სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე ადარებს ერთმანეთს ტრადიციულ და თანამედროვე ფასეულობებს (ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართ. XII. 5).

რესურსები: წერილების ტექსტი, მიხეილ ჯავახიშვილის „წერილები ჩემს ქალიშვილს“, ქეთევან ჯავახიშვილის „მამაჩემი მიხეილ ჯავახიშვილი“, „უძლები შვილის“ იგავი.

დრო: 90 წუთი.

შეფასება: დისკუსიაში ჩართულობის ხარისხი, მსჯელობის დამოუკიდებლობა.

გაკვეთილის მსვლელობა: მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად (3-4 ჯგუფი).

თითოეულ ჯგუფს წასაკითხად ეძლევა ჯერ კაფკას „წერილი მამას“, შემდეგ ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „შვილები“. წინასწარ მიცემული აქვთ სადისკუსიო თემები - „მე და მამაჩემი“ და „შვილები და მშობლები“, აქვე იხსენებენ იგავს „უძლები შვილი“. წერილების წაკითხვის შემდეგ იმართება დისკუსია „მრგვალი მაგიდას“ ირგვლივ მარადიულ თემაზე „მამები და შვილები“.

დისკუსიის პარალელურად ჯგუფებს ურიგდებათ მიხეილ და ქეთევან ჯავახიშვილების „წერილები ჩემს ქალიშვილს“ და „მამაჩემი მიხეილ ჯავახიშვილი“ - ფრაგმენტების ქსეროასლები.

მოსწავლეები ადარებენ და პარალელს ავლებენ სხვადასხვა ეპოქისა და თანამედროვე მოზარდების მშობლებთან დამოკიდებულებას. უპირატესობას ანიჭებენ ინდივიდუალობას, დამოუკიდებლობასა და საკუთარი აზრის დაფიქსირებას.

პრეზენტაცია: დისკუსიის შემდეგ იწყება თემების პრეზენტაცია, მოსწავლეები თავად აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს და მსჯელობენ მშობლებსა და შვილებს შორის არსებული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებზე.

დავალება: მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, მოამზადონ პროექტი მათთვის სასურველი მწერლის შემოქმედების შესახებ. შემდეგი გაკვეთილისთვის იგეგმება ამერიკული მხატვრული ფილმის - „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ - ჩვენება.

თინა აბაშიძე

თბილისის 122-ე საჯარო სკოლის

ქართული ენისა და

ლიტერატურის პედაგოგი

ბიოლოგიის გაკვეთილი. VII კლასი

გაკვეთილის თემა: თევზები. თევზების აგებულების თავისებურებანი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს თევზის გარეგანი აგებულების აღწერა, დაახასიათოს მისი სასიცოცხლო პირობები, იმსჯელოს თევზის სასიცოცხლო გარემოსთან შეგუებულობების შესახებ.


გამოყენებული მასალა: პლაკატი „თევზის გარეგანი აგებულება“, სქემა, თაბახის ფურცლები, აკვარიუმის თევზები.

გაკვეთილის დრო: 45 წუთი.

გაკვეთილის მსვლელობა:

კლასს მივმართავ, რომ დღეს ჩვენ დავიწყებთ ხერხემლიან ცხოველთა შესწავლას. როგორც მათი სახელწოდება მიგვანიშნებს, ამ ცხოველებს აქვთ შინაგანი ჩონჩხი, რომლის ძირითად ნაწილს ხერხემალი წარმოადგენს. ბუნებაში ბევრი ხერხემლიანი ცხოველი ბინადრობს, ზოგი - წყალში, ზოგი - ხმელეთზე, ამიტომ, კლასიფიკაციის შედეგად ხერხემლიანთა ხუთ კლასს გამოყოფენ (2 წთ.).

დაფაზე ვკიდებ სქემას



შემდეგ კლასს ვთხოვ, გაიხსენონ, თუ რა იციან თევზების შესახებ, რადგანაც დღეს სწორედ თევზებზე უნდა ვისაუბროთ (2 წთ.).

მოსწავლეებს ვეტყვი, რომ თევზები წყლის ხერხემლიანი ცხოველები არიან. თევზების კლასი დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, თევზები ბინადრობენ ოკეანეებში, ზღვებში, ტბებში და მდინარეებში. ზოგი გიგანტური ზომისაა, ზოგიც კი - ძალიან პატარა. მაგრამ ყველა მათგანს საერთო თვისებები აქვთ: ყველა თევზი წყლის ბინადარია და მთელ ცხოვრებას წყალში ატარებს, მათი კანი ქერცლითაა დაფარული, მოძრაობენ ფარფლების საშუალებით, სუნთქავენ ლაყურებით და კვერცხის დებით მრავლდებიან (1 წთ.).

საუბრის შემდეგ კლასს დავყოფ ჯგუფებად და ვთხოვ, დაახასიათონ წყლის გარემო, რადგანაც თევზების სასიცოცხლო გარემო წყალია.

აღნიშნული დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს ჯგუფებში შევთავაზებ უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს:

1. როგორია წყლის სიმკვრივე ჰაერთან შედარებით?
2. როგორია წყალში ჟანგბადის შემცველობა?
3. რით განსხვავდება წყლის ზედა ფენა ღრმა ფენებისგან?
5. როგორია წყალში ტემპერატურის სეზონური და დღე-ღამური ცვალებადობა? (5 წთ.)

პრეზენტაციები - 7 წთ.

(კითხვები წინასწარ მაქვს მომზადებული ფურცლებზე, ანდა შესაძლოა დაფაზე ჩამოვწეროთ).

პრეზენტაციების შემდეგ ვინებთ დაკვირვებას აკვარიუმის თევზებზე. მოსწავლეებს ვთხოვ, დაახასიათონ თევზის გარეგანი აგებულება (3 წთ.).

პრეზენტაციები - 4 წთ.

მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ თევზის სხეული შედგება თავის, ტანისა და კუდისაგან; თევზის თავი ტანთან უძრავადაა შეერთებული, ხოლო კუდი ტანის გაგრძელებაა, სხეული გვერდებიდან შებრტყელებულია - თევზს თითისტარასებრი ფორმის სხეული აქვს. თევზის სხეული ქერცლითაა დაფარული, ქერცლი ისეა განლაგებული, რომ იცავს სხეულს და თანაც ხელს არ უშლის თევზს მოძრაობაში. თუ თევზის ხელში დაჭერას შევეცდებით, იგი ადვილად გაგვისხლტება, რადგანაც ქერცლების ზედაპირი ლორწოთაა დაფარული. თევზის თავის წინა ნაწილში მოთავსებულია თვალები, რომლებსაც ქუთუთოები არა აქვთ, თავის ზედა მხარეზე ორი ნესტოა, რომლებიც ყნოსვის ორგანოს წარმოადგენს, ხოლო შეხების შეგრძნების ორგანოა კანი. გარდა ამისა, თევზს ორივე გვერდზე სიგრიდივი ზოლები აქვს. ამ ზოლებს გვერდითი ხაზი ეწოდება. გვერდითი ხაზის საშუალებით თევზი გრძობს წყლის მიმართულებას და სხვადასხვა საგნის მიახლოებას. გვერდით ხაზს თევზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ღამით ან მღერევი წყალში მოძრაობისას, რადგანაც იგი ამ დროს მხედველობას ვერ გამოიყენებს (3 წთ.).

საუბრის შემდეგ ვინებთ მსჯელობას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სხეულის თითისტარასებრი ფორმას და ლორწოთი დაფარულ კანს. იმართება დისკუსია (3 წთ.).

მივიღვართ დასკვნამდე, რომ წყალი ჰაერზე მკვრივია, თევზს მოძრაობისას წყლის წინააღმდეგობის გადალახვა უწევს, მისი თითისტარასებრი სხეული სოლივიტ იჭრება წყალში, ხოლო ლორწო ხახუნის ძალას ამცირებს.

შემდეგ აკვარიუმში ვაკვირდებით თევზების მოძრაობას. თევზები ფარფლების საშუალებით მოძრაობენ. ყველაზე დიდია კუდის ფარფლი, რომელიც ორი ნაკვეთისგან შედგება, გარდა ამისა, თევზს აქვს კენტი ზურგის ფარფლი და კუდქვეშა ფარფლი; წყვილი მკერდის და მუცლის ფარფლები (შესაბამისად, ვაჩვენებ აღნიშნულ ფარფლებს პლაკატზე, მოსწავლეები პოულობენ მათ აკვარიუმის თევზებზე) (2 წთ.).

დაკვირვების შემდეგ ვინებთ მსჯელობას, თუ რა ფუნქციას ასრულებენ სხვადასხვა ფარფლები (2 წთ.).

ვასკენით, რომ თევზი უმთავრესად კუდის ფარფლით მოძრაობს, ზურგის და კუდქვეშა ფარფლებით წონასწორობას იცავს ვერტიკალურ სიბრტყეში, ხოლო წყვილი ფარფლები თევზს ეხმარება სხეულის მობრუნებაში და აგრეთვე წონასწორობის შენარჩუნებაში.

შემდეგ მოსწავლეებს ვეტყვი, რომ ზედა ფენებში მოზინადრე თევზების სხეულის ფორმა განსხვავდება ღრმა ფენებში მოზინადრე თევზების სხეულის ფორმისგან. დაფაზე ვკვიდებ სკაროსის და ზღვის ეშმაკის სურათებს და მოსწავლეებს ვთხოვ, იმსჯელონ ჯგუფებში, თუ როგორ არიან ეს თევზები შეგუებული სიღრმეში ცხოვრებას (2 წთ.).

პრეზენტაციები - 4 წთ.

სკაროსის აღწერისას მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, რომ მისი ფარფლები განსხვავდება ზედა ფენაში მცხოვრები თევზების ფარფლებისგან: მკერდის ფარფლები გაგანიერებულია, გასდევს გვერდებს და კუდთან მუცლის ფარფლებს უერთდება. სკაროსი ფარფლების ტალღისებური მოძრაობით დაცურავს. გარდა ამისა, მისი სხეულის ზედა მხარე ფერით ფსკერთან არის შესამეზული.

ზღვის ეშმაკის დახასიათებისას მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ წყლის სიღრმეში, სადაც ზღვის ეშმაკი ბინადრობს, სიბნელება, ამიტომ წყალმცენარეები არ გვხვდება, ხოლო სხვა ორგანიზმებიც სიმრავლით არ გამოირჩევიან. აქედან გამომდინარე, ზღვის ეშმაკი მტაცებელია, აქვს დიდი კბილები და თავზე გრძელი „სატყუარა“, რითაც მსხვერპლს იზიდავს.

გაკვეთილის შეჯამების მიზნით მოსწავლეებმა ჯგუფებში თაბახის ფურცლებზე უნდა გააკეთონ თევზის სხეულის ჩანახატი და გაუკეთონ ნარწერა გაკვეთილზე შესწავლილ ორგანოებს. (3 წთ.).

პრეზენტაციები - 3 წთ.

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს ვეტყვი, რომ თევზების შესწავლას შემდეგ გაკვეთილზეც გავაგრძელებთ. მივცემ საშინაო დავალებას.

ნათა გიჭიაბიძე

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი  
გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლა



# „გადაშალე წიგნი – შეაღწე სოფლის კარი“



21-22 აპრილს, სიონის სკვერში, საბავშვო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.

ლონისძიება განათლების გლობალური აქცია-კვირეულის ფარგლებში გაიმართა, რომელიც ყოველ წელს მთელ მსოფლიოში აღინიშნება. წლებანდელი კვირეულის დევიზი იყო – „გადაშალე წიგნი – შეაღწე სოფლის კარი“.

გამოფენა-გაყიდვაში 7-მა გამომცემლობამ მიიღო მონაწილეობა. მათ საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო ლიტერატურა შესთავაზეს მოზარდებს, აქციაზე მისულ დამთვალიერებელს გამომცემლობები წამახალისებელ ფასდაკლებას სთავაზობდნენ.

„მთელ მსოფლიოში 20-22 აპრილს აღინიშნება განათლების გლობალური აქცია-კვირეული, ჩვენი გამოფენა-გაყიდვაც სწორედ ამ აქციის ფარგლებში მოეწყო, რომლის მთავარი გზავნილი ახალგაზრდებისთვის, მოზარდებისთვის არის „გადაშალე წიგნი – შეაღწე სოფლის კარი“. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ჩატარდა კვლევები 9-10 წლის ასაკის ბავშვებში, თუ როგორია მათი წიგნიერების დონე. ამ კვლევამ საკმაოდ შედეგები აჩვენა – 45 ქვეყნიდან 37-ე ადგილზე აღმოჩნდით, წიგნიერების საკმაოდ დაბალი დონე ვაჩვენეთ. ჩვენი მთავარი მიზანია, სწორედ ამ დონის ამაღლება, გვირგვინი მოზარდი დაეუბნოთ წიგნს, რომ ბავშვებმა ინფორმაცია არა მხოლოდ კომპიუტერით მიიღონ, არამედ წიგნიდან. ასეთი ტიპის აქცია – გამოფენა-გაყიდვა – პირველად ტარდება, გლობალურ აქცია-კვირეულს უკვე მესამე წელია, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფესიული კავშირი აღნიშნავს. გარდა ამისა, აქციის გაგრძელება იქნება 25 აპრილს ბეჭდური მედიისათვის გამოცხადებული კონკურსში – მოზარდი და წიგნიერება – გამოვლენილი გამარჯვებულების დაჯილდოება“ – გვითხრა თავისუფალი პროფკავშირების პიარმენეჯერმა ნინო თარხნიშვილმა.

თამარ ნინიკაშვილი, საბავშვო გამომცემლობა „დილის“ აღმასრულებელი დირექტორი: „დღეს გამოფენა-გაყიდვისთვის გამოვიტანე საბავშვო ენციკლოპედიის სერია ოცტომეული, საბავშვო ბიბლიოთეკა (გამოსულია 12 ტომი), ქართული მწერლობის რამდენიმე ტომი, უფროსად „დილის“ გამოცემები და, რაც მთავარია, დამთვალიერებელს ყველაფერ ამას დიდი ფასდაკლებით ვთავაზობთ. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით აგვისტოს შემდეგ, წიგნები ნაკლებად იყიდება, თუმცა დღეს საკმაოდ ბევრი მყიდველი მოვიდა.“

მაია რეხვიაშვილი, გამომცემლობა არტანუჯი: „დღეს გამოფენა-გაყიდვაზე გამოვიტანეთ ნიკო ლომოურის მოთხრობები, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, „ბაში-აჩუკი“, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები, უფრო მცირე ასაკის პატარებისთვის ლამაზად ილუსტრირებული წიგნები და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ წიგნებს ფასდაკლებით ვთავაზობთ, დამთვალიერებელთა სიმრავლე მაინც არ არის.“

მაია ხუციშვილი, გამომცემლობა „დიოგენე“: „ჩვენმა გამომცემლობამ დღეს ბავშვებს 23-პროცენტთან ფასდაკლებით შესთავაზა წიგნები. მყიდველი მიიღებს ფასდაკლების ბარათს, რომლითაც ორი თვის განმავლობაში შეუძლია ისარგებლოს. მყიდველი საკმაოდ ბევრი გამოუჩნდა ჩვენს გამოცემებს, კიდევ ველოდებით, თუმცა, ალბათ, თუკი ასეთი ტიპის აქციების წინასწარ გაეწევა რეკლამა და მეტი ადამიანი შეიტყობს მის შესახებ, ვფიქრობ, დამთვალიერებელთა და წიგნის მყიდველთა რიცხვიც გაიზრდება.“

იმ პატარებს, ვისაც ლიტერატურა უყვართ და სიონის პარკში ამისთვის მივიდნენ, სხვა სიურპრიზიც დახვდათ – ჯამბაზებთან გართობა, ეს იმდენად მიმზიდველი იყო მათთვის, ვერც ერთი ბავშვი ინტერვიუზე ვერ დავითანხმეთ.

სიონის პარკის ცენტრში, სპეციალურად ამ აქციისთვის შექმნილი, იაპონური ჯიშის ტირიფის ხე იდგა სიმბოლური სარწყავით, რომელსაც აქციის ორგანიზატორებმა „ცოდნის ხე“ უწოდეს. „ცოდნის ხე“ გამოფენა-გაყიდვის შემდეგ „დედაენის“ ბაღში დაირგვება წარწერით, ნიშნად იმისა, რომ სწორედ ეს ხე არის დასაბამი მსგავსი ტიპის ინიციატივებისა, რათა დევიზი: „გადაშალე წიგნი – შეაღწე სოფლის კარი“ – მხოლოდ მონოდებად არ დარჩეს და ჩვენმა მომავალმა თაობებმა დაბალი მაჩვენებელი წიგნიერებისა გააუმჯობესონ და გააუმჯობესონ, რაც შეიძლება დიდი ნახტომით.

ლალი ჯელაძე



ინფორმაცია

„ბუნების სილამაზე და ბარაქა პატარებს“



ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტ ინფორმაციას ვიღებთ მსოფლიოში მომხდარი კატასტროფების შედეგად გარემოსა და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის შესახებ. ბუნებრივი კატასტროფების სიხშირის თვალსაზრისით ერთ-ერთი პრობლემური ქვეყანა საქართველოა. ჩვენ ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ისე ვერ ვიცხოვრებთ, როგორც ადრე. გლობალური ტემპერატურა ამ საუკუნეში აიწევს 5°C-ით. ეს კი გამოიწვევს: წყალდიდობის სიხშირეს, მყინვარების დნობას, გვალვების სიხშირეს, სახეობების გაქრობას.

კლიმატის ცვლილება გლობალური საშუალებაა და ითხოვს გლობალურ ქმედებას. ეს პრობლემა მთელ მსოფლიოს ეხება და ზეგავლენას ახდენს ყველა კონტინენტზე, ყველა ქვეყანაში მცხოვრებთათვის ადამიანზე.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობისთვის, მისი შენარჩუნებისთვის ბუნების სილამაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბუნების სილამაზის ჯავარი მცენარეულობაა. ვინ არ მოუხიბლავს ჩვენს ზურმუხტოვან მთასა და ბარს, დამშვენებულს ტყითა და ბალ-ვენახით, რომლის სილამაზე გაძლიერებულია ლალითა და იაგუნდით, ქარვითა და მარგალიტით, რაც უნდა ჭმუნვა შემოაწვეს კაცს, როდესაც იმყოფება ბუნების ნიაღვრე, გული გაეხსნება, სახეზე ღიმილი გადაურბენს. სწორედ ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ ადამიანებმა ბუნების სილამაზის შესანარჩუნებლად.

ბუნება თავისი კანონზომიერებით, საიდუმლოებითა და სიღრმით დასაბამიდან დღემდე აოცებს ადამიანს. ბუნების უამრავ საიდუმლოებათა ამოხსნა ბოლო საუკუნეების პროორიტეტი გახდა, მაგრამ სამწუ-

ხაროდ, ამ საიდუმლოებათა ცოდნამ ადამიანი ბუნებასთან კი არ დააახლოვა, თითქოს უფრო დააშორა. იგი უძღვებო შვილის სიხარბით დაენაფა მის საგანძურს.

ბუნებას აუცილებლად უნდა დაუბრუნო სანაცვლო იმისა, რასაც მისგან მიიღებ. გონიერება და სიყვარული უნდა ედოს საფუძვლად ადამიანის ურთიერთობას ბუნებასთან, უნდა გვესმოდეს მისი არსი და სული, უნდა გვექონდეს უნარი მშვენიერებით ტკობისა.

კერძო ბაგა-ბაღის „ლიგვირონის“ (გამგე - ნინო ჭოლაძე) მიზანმიმართულად ეს არის: ყრმა აღზარდოს ბუნების სიყვარულით. აღსაზრდელმა უკვე იციან რატომ არის მზე სიცოცხლის წყარო, რატომ აქვს სიქემს კუზი, სპილოს - ხორთუმი, როგორი ცხოველია დელფინი, სად ბინადრობს თეთრი დათვი, როგორი მცენარეა ბანანი, რომე-

ლია ხმელეთის ყველაზე მაღალი ცხოველი, როგორია და რა ანუხებს დედამიწას?

„ლიგვირონში“, სხვადასხვა საგნებთან ერთად, შეისწავლება საბუნებისმეტყველო საკითხები. ბუნების სამყაროს მცირედი ნაწილია ბაგა-ბაღის ეზო. ბავშვებმა იციან, რა პირობებია აუცილებელი მცენარის არსებობისთვის, როგორ იზამთრებენ კუბები, რომლებიც ბაგა-ბაღის ეზოში ბინადრობენ, როგორ მოუარონ თუთიყუშებს. მცენარეებს - ნარცისებს, იებს, პიონებს, ვარდებს - სისტემატურად რწყავენ ნიკუშა ჩიხრაძე, მარი მუყავია და სხვ. მინას აფხვიერებენ: ნიკოლოზ კაპანაძე, რეზო არზიანი და ნინო გაბრუაშვილი. პოსტანში მოყვანილ ბაღჩეულს სარევეებისაგან ანთავისუფლებენ: ნინო დარციმელია, ლიზი ჯავარიძე, ნატალი თაბაგარი და თაქო ლამბაშიძე.

ბუნებაში მცენარეებზე და ცხოველებზე დაკვირვების საფუძველზე პატარებს განუვითარდათ აღწერის, დაკვირვების უნარ-ჩვევა. მათ შეუძლიათ შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

ბავშვებმა - თამარ შათირიშვილმა, ანი ფეიქრიშვილმა, რეზი კაპანაძემ - სააღდგომოდ ჯეჯილიც მოამზადეს, მოახდინეს დაკვირვება ხორბლის ღვივის ზრდა-განვითარებაზე, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდათ კვლევის უნარ-ჩვევა. თვალსაჩინოების მიხედვითაც აკეთებენ ძირითად დასკვნებს. მათ აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვით პედაგოგებს - ლია მათიაშვილს და ნინო ჯობავას.

ბავშვები ყოველდღიურად იმალევენ ცოდნას, იღებენ სწორ ეკოლოგიურ განათლებას, რომელიც თან გააყვებათ მთელი ცხოვრების მანძილზე.

დროა, ვიმოქმედოთ! კლიმატის ცვლილება რეალობაა, ეს უკვე ხდება, ეს ეხება ყველას, ჩვენ არ გვაქვს დასაკარგი დრო, ყველა ერთად ვალდებული ვართ, შევცვალოთ ჩვენი ცხოვრების სტილი, რათა შევარჩიოთ კლიმატის ცვლილებების პროცესი.

ბავშვებმა კარგად იციან გლობალური დათბობის ცნება. დღეს კი, მათ განსაკუთრებულად - ფერადი ცარცების დახმარებით ასფალტზე ხატვით - გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება გარემოსადმი, დედამიწის დღის - 22 აპრილის აღსანიშნავად.

დაე, ჩვენვე გამოვქვედოთ ჩვენი მომავალი!

ლალი ედიბერიძე  
ეკოლოგიის წრის ხელმძღვანელი

ამაგიზი დიდი შვილების

„...მამამ ყოველთვის იყავი ქვრივი“

მამის ხსოვნის უკვდავსაყოფად პოეტმა სოსო მამულაიშვილმა ფსევდონიმად გრიშაშვილი შეარჩია. ამაში უკვე ჩანს ის დიდი სიყვარული და განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომლითაც იოსებ გრიშაშვილი იყო განმსჭვალული მამის მიმართ.

„პოეტის მამა გრიგოლი ბავშვობიდანვე ჩაება მძიმე ფიზიკურ შრომაში, რამდენიმე წელი შეგირდად დაჰყო, მერე ქარვლად, მერე ოსტატად დაულოცნიათ. იყო კალატოზიც - ამოჰყავდა აგურის მილები. მისი ვაჟკაცური აგებულება მძიმე შრომას ადვილად იტანდა. გრიგოლი ხელოსნებში გაერია, სწრაფად აითვისა მათი ცხოვრების წესი და ადათი. ისიც ხარფუხში დასახლდა. გრიგოლი მრავალი წელი კალატოზად მუშაობდა. მერე თავის უბანშივე სანვრილმანო დუქანი გახსნა. ჰყიდა მარილს, ასანთს, ჭურჭელს და სხვა ნვრილმანებს. შემდეგ დაუწყო ღვინის ზიდვა მუხრანიდან. ხარფუხში პატარა სირაჩხანა გაუხსნია, პარალელურად მზარეულობაც ნამოუნყვია და მალე მოუპოვებდა გემრიელი კერძის დამამზადებლის სახელი. საამო კერძების გამო მის მეიხანას მუშტარი არ აკლდა“ (ი. ლორთქიფანიძე, ი. გრიშაშვილი, თბ., 1990 წ., გვ. 8).

ასე დაუწყო ცხოვრება ახალგაზრდა, ლამაზ და ტანად გრიგოლ მამულაიშვილს. ის თავისი დარდნიანდობითაც გამოირჩეოდა. იყო ძლიერი მოკრივე და, რაკი ბრძოლის დროს ცაცია ხელს ხმარობდა, ზედმეტ სახელად „ცაცია გრიშა“ დაურქმევიათ. „გრიგოლი კეთილი, მხიარული ბუნების, ამხანაგ-მეზობლების მოყვარული, წერა-კითხვის მცირე მცოდნე, მაგრამ გონებაბახელი და შეუდარებელი მოშიარე ყოფილა. ღვინოს არ ეტანებოდა, უყვარდა კობტად და სუფთად ჩაცმა“ (იქვე, გვ. 9).

გარეგნულად მიმზიდველი და ძლიერი გრიგოლი პირად ცხოვრებაში უიღბლო ადა-

მიანი გამოდგა. პირველი მეუღლე მშობიარობას გადაჰყვა. ასევე მალე გარდაცვალდა მეორე მეუღლეც, რომლისგანაც დარჩა ერთადერთი ქალიშვილი - ბარბალე.

ორგზის დაქვრივებულმა გრიგოლმა მესამე ცოლად ქალაქელი ქალი შეირთო, რომელთანაც ორი შვილი - იოსები და ელენე - ეყოლა.

პატარა სოსო მამის უშუალო მეთვალყურეობით იზრდებოდა. უკვე ნაოზრდილი სოსო მამამ თავისთან - სარდაფში დააყენა და უნდოდა მისთვისაც თავისი ხელობა ესწავლებინა. ეს პერიოდი იოსებ გრიშაშვილმა შემდგომ თავის მოგონებებში ასე გააცოცხლა: „მამაჩემს და მის ტოლ-ამხანაგებს ძალიან უყვარდათ ძველისძველი წიგნების მოხმენა. მათ ჰყავდათ ერთი ოფიციალური მკითხველი - ყორღანანთ კოსტუა. ეს იყო მათი გამართობი. მაგრამ რაკი ხშირად უსაქმოდ ვახლდით და ვითომდა კითხვაშიც ვვობდი კოსტუას, ამიტომ ეს როლი მე დამაკისრეს: ჩამისვამდნენ შუაში, შემომეჭდებოდნენ ირგვლივ და მაკითხებდნენ: „ალექსიანს“, „ქალვაჟიანს“, „არ ჩაერიოიანს“, „შვიდევიზიანს“ („თიმოზიანს“), „სარიდანიანს“, „მირიანიანს“, „უთურუთიანს“, „შვიდთა იყალმთა ხელმწიფეთა ანბავს“, „ბარამეფურიანს“, „რუსუდანიანს“, „ლეილაჯუნუიანს“ და ვინ იცის კიდევ რამდენ ამბებს, ზღაპრებს თუ მოთხრობებს.

მე ახლაც თვალწინ მიდგას მათი განცვიფრებული სახეები, როცა მივანევი იმ ადგილს, სადაც ეწერა: „ყარამ-ყათილმა ასნია მთა და ქვეშ აურაცხელი ჯარი გაატარა გარდანქეჟანის წინამძღოლობით“.

ბოლოს დედაჩემმა ამიკრძალა ამგვარი ამბების კითხვა, რადგან ეს ფანტასტიკური სურათები ძილში მელანდებოდა და აურზაური მქონდა ლოგინში“ (ი. გრიშაშვილი, თხზულებანი, 1, გვ. 71-72).

1904 წელს გრიგოლი გარდაიცვალა. ჭაბუ-

კი სოსოს გულში მწუხარებამ შემოიხედა. „მამის ეშხით მოამაყე ვაჟი ცდილობდა დაედგინა ის საერთო, რომელიც შეინიშნებოდა მამის - განთქმული მოკრივის და მისი ძის, პოეტის მისწრაფებათა შორის. იგი გრძნობდა, რომ ორივეს გამარჯვებისათვის სწრაფვა ამოძრავებდა. ეს კი პოეტ-შემოქმედს იმის იმედს აძლევდა, რომ მის პოეტურ შთაგონებას, მამა-შვილის საერთო ნიშნის წყალობით, მის პოეტურ კალამს „დვრიტა და ყავლი“ არასოდეს მოკლებოდა“ (ი. ლორთქიფანიძე, დასახ. წიგნი, გვ. 16).

მამის სახე პოეტმა არაჩვეულებრივი ოსტატობით გააცოცხლა ამ სტრიქონებში:

ინოდებოდი „ცაცია გრიშად“,  
გიყვარდა მხოლოდ ქალი და კრივი,  
და თუმც ცოლები გყავდა დაერიშად,  
მაგრამ ყოველთვის იყავი ქვრივი.

1907 წლიდან, მამის სიყვარულისა და უკვდავყოფის ნიშნად, პოეტმა ფსევდონიმად გრიშაშვილი აირჩია, მანამდე კი ხან გრიგოლაძე, ხანაც გრიგოლაშვილის ხელმოწერით ბეჭდვდა თავის ნაწარმოებებს.

მამის გარდაცვალებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ პოეტის დედა მეორედ გათხოვდა. ჭაბუკი სოსო თითქმის მარტო დარჩა.

რა იყო ჩემი სიჭაბუკე ძველ სათვალავში?  
დედა სხვას ვაჰყავ,  
მამა უკვე იწვა საფლავში.

- სევდიანად წერდა პოეტი ლექსში „პასუხად ახალგაზრდა მწერლებს“.

იოსებ გრიშაშვილს მამის სიყვარული და მონატრება მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევდა, ამიტომაც შემორჩა მის პოეზიას მამის კოლორიტული სახე:



შენი მიზანი, შენი საგანი  
იყო სიმართლის შექმნა ნამდვილად,  
და იყავ ერთი იმათთაგანი,  
ვინც სიამაყეს ვ ზავნის მარტივად.  
და მეც შენსავით ბრბოს ტლანქს  
და ზარმაცს,  
ჩემი თავმანი მივეც გიროოდ,  
არქიელივით ვეძებ აზარმაცს  
რომ დედამიწა ავაყირო!

მურად მთივარიძე

# თამარ და აკაკი პაპავეზის ხსოვნის დღეები

# ეფემერები



ეფემერების ხსენებისას მეტ-ნაკლებად განათლებულ ყველა ქართველს გალაკტიონი გაახსენდება, მაგრამ გალაკტიონი აქ არაფერ შუაშია. „ეფემერა“ მაღალი დონის კოლექციონერებში გავრცელებული ტერმინია და იგი არცთუ იშვიათად გვხვდება პრესტიჟულ კოლექციონერულ ალბომებში ან თუ სოლიდურ აუქციონთა კატალოგებში.

ეფემერა ისეთ საკოლექციო ერთეულს (უმეტესად ბეჭდურ პროდუქციას ან ხელნაწერს) ჰქვია, რომელიც კი არსებობს, მაგრამ რომლის არსებობა არც აუცილებელია, არც საყოველთაო და არც რამ გარეშე წყაროთი დადასტურებული. მაგალითად, მოსანვევი ბარათი, ტრამეის, თვითმფრინავის, თეატრის, მუზეუმის, სტადიონისა თუ ლატარიის ბილეთი, რესტორნის მენიუ, პროკლამაცია, ფლაიერი, სადარბაზო ბარათი, აფიშა, პლაკატი, მისალოცი, ეტიკეტი, ქვითარი, სამგლოვიარო ცნობა, ბლანკი, ტრიბლეტი, ჟურნალის ან გაზეთის ამონაჭერი, ვინიეტი, სტიკერი და სხვა.

განსხვავებით ისეთი ტრადიციული საკოლექციო მასალისაგან, როგორცაა საფოსტო მარკები, მონეტები და ქალაქის ფული, რომლებიც მკაცრად კატალოგიზებული, ან არასრულად თუ ნაწილობრივ კატალოგიზებული საკოლექციო სიმრავლისაგან, როგორცაა ნიგნები, პრესა, სამკერდე ნი-

ნები, ლია ბარათები, საფოსტო კონვერტები და სხვა, ეფემერები საერთოდ არ არის კატალოგიზებული და თუ არის, ძალზე იშვიათად და მხოლოდ ამა თუ იმ სუბიექტური ნიშნით. სწორედ ამიტომ შეუძლებელია საუბარი ეფემერების კოლექციების სისტემატიზაციაზე ან მათ სისრულეზე.

იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი ეფემერა თავის დროზე გარკვეული რაოდენობით (სადარბაზო თუ მოსანვევი ბარათი, პროკლამაცია), ხანდახან საკმაოდ დიდი ტირაჟითაც კი (ტრანსპორტის ან ლატარიის ბილეთები, პრესის ამონაჭერი, ფლაიერი) იბეჭდება, როგორც არატრადიციული საკოლექციო მასალა, იგი არ ინახება და თუ სადმე შემორჩა, მხოლოდ თითო-ორი ეგზემპლარად. სწორედ ასე შემორჩენილი ბილეთი თუ სხვა რამ მსგავსი პროდუქცია იქცევა ხოლმე საკოლექციო ეფემერად.

ეფემერები საუკეთესო დამხმარე წყაროა ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენების შესასწავლად, ამა თუ იმ პიროვნების ბიოგრაფიული მონეტების ან საკამათო თარიღების დასაზუსტებლად. სოციალური თუ კულტურული ურთიერთობების, ხელოვნებისა და სპორტის ისტორიის საკითხების კვლევა-ძიებისათვის.

გამოფენა, რომელსაც **ზაირა ბერელიძის გალერეა „ვერნისაჟი“** მასპინძლობს, ეფემერების პირვე-

ლი გამოფენა საქართველოში და ალბათ კავკასიაშიც. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა სახისა და შინაარსის ეფემერები **თამარ და აკაკი პაპავეზის** არქივიდან.

პაპავეზის მრავალრიცხოვანი ოჯახი ქართული პოლიტიკური და კულტურული ემიგრაციის ერთი ყველაზე ძლიერი კერა გახლდათ ათწლეულების მანძილზე. თამარ და აკაკი პაპავეზი ორ მცირეწლოვან ქალიშვილთან – ტურფასთან და მზიასთან – ერთად საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აღმოჩნდნენ ემიგრაციაში. ისინი ჯერ გერმანიაში ცხოვრობდნენ, ომის შემდეგ კი არგენტინაში დასახლდნენ, სადაც დღემდე ცხოვრობენ მათი მრავალრიცხოვანი შთამომავლები. თამარ და აკაკი პაპავეზის არქივის ერთი ნაწილი 1997 წელს ჩამოვიტანეთ არგენტინიდან და დღეს იგი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, თამარ და აკაკი პაპავეზის კაბინეტში. საექსპოზიციო მასალა სწორედ ამ არქივიდან შეიქმნა.

ექსპოზიციის ნარმოდგენილი ეფემერები ნახევარ საუკუნეზე მეტ პერიოდს მოიცავს გასული საუკუნის 20-იან წლებიდან 80-იან წლებამდე. გამოფენა იმართება თამარ და აკაკი პაპავეზის ხსოვნის დღეების ფარგლებში.

**პაატა ნაცვლიშვილი**  
წერილი მომზადდა გამოფენის  
საინფორმაციო ბუკლეტისთვის

**15 აპრილს**, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, პროგრამა „სამშობლოს“ ფარგლებში, გაიხსნა **თამარ და აკაკი პაპავეზის** ხსოვნის კვირეული, დაფუძნდა მათი სახელობის კაბინეტი, სადაც პაპავეზის პირადი ბიბლიოთეკისა და არქივის ნაწილია განთავსებული. იმავე დღეს გაიმართა რეზო თაბუკაშვილის ფილმის ჩვენება, სადაც გადმოცემულია პაპავეზის მიერ ჰამბურგში უნიკალური ნივთის შექმნის ისტორია. ჩვენების შემდეგ შედგა შეხვედრა პაპავეზის შვილიშვილებთან.

**21 აპრილს**, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გაიმართა აღმანახ „სამშობლოს“ პრეზენტაცია და სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „ახალი მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის“.

**22 აპრილს** გალერეა „ვერნისაჟი“ წარმოდგენილი გამოფენით „ეფემერები“ დასრულდა თამარ და აკაკი პაპავეზის ხსოვნისადმი მიძღვნილი კვირეული.

აღსანიშნავია, რომ 1997 წელს, ოჯახის სურვილით, პაატა ნაცვლიშვილმა საქართველოში ჩამოიტანა არქივის ერთი ნაწილი, რომელიც სრულად ასახავს ქართული ემიგრაციის ცხოვრებას 70-იან წლებამდე.

თამარ და აკაკი პაპავეზის ხსოვნის დღეებს ესწრებოდნენ მათი შვილიშვილები – **გულნარა, სალომე, ანა-მარია და მზია ჭეიშვილები**.

**პაატა ნაცვლიშვილი:** ეს იდეა გახლავთ თამარ და აკაკი პაპავეზის კაბინეტის, პროგრამა „სამშობლოსი“, რომელსაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ახორციელებს. ეს პირველი ღონისძიებაა ამ კუთხით. იმედი გვაქვს, რომ კიდევ მრავალი საინტერესო ღონისძიება დაიგეგმება და განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს ემიგრანტული ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას საქართველოში, ამ არქივების ჩართვას კულტურულ მიმოქცევაში. ვფიქრობთ ამ პროგრამაში ჩაერთვება ყველა ის ადამიანი, ვინც დაინტერესებულია ემიგრაციის ისტორიის კვლევით.

**მზია ჭეიშვილი:** ეთერ და აკაკი პაპავეზის ხსოვნის დღეები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სამწუხაროდ ბებია და ბაბუა აღარ არიან, ეს ყველაფერი რომ ენახათ, ალბათ, ბედნიერები იქნებოდნენ. ორი კვირაა, რაც ჩამოვედით და ორ დღეში უკან ვბრუნდებით. გული მწყდება, რომ ცოტა ხნით ვიყავი საქართველოში. ძალიან ბევრი რაღაცის მოსწრება გვიხდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დრო ძალიან სწრაფად გავიდა. საქართველოში მეცხრედ ვარ. ადრე უფრო დიდი ხნითაც ვყოფილვარ. გული მწყდება, ასე ცოტა დროით რომ ჩამოვედი, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვბრუნდები.



პაატა ნაცვლიშვილი ეთერ და აკაკი პაპავეზის შვილიშვილებთან ერთად

სპორტი



ჩოგბურთი აჭარას ესტუმრა

მიმდინარე კვირაში ბათუმი საქართველოს პირველობებს მასპინძლობს 10, 12, 14 და 16 წლამდე ჩოგბურთელთა შორის. ოთხივე ასაკობრივ ტურნირში 100-მდე მოზარდი მიიღებს მონაწილეობას, შეძლებისდაგვარად, ყველა წამყვანი სპორტსმენიც, რომლებიც ამჟამად უცხოეთში არ იმყოფებიან. ამ მხრივ ყველაზე საინტერესო 16-იანთა ტურნირი იქნება, სადაც, თითქმის, ყველა წამყვანი ჩოგბურთელი იასპარეზებს.

ამასობაში ახალგაზრდა თაობის რამდენიმე წარმომადგენელი უცხოურ ტურნირებშიც გამოდიოდა. აღდგომის წინა კვირაში ქალმა ჩოგბურთელმა, ძირითადად, თურქეთში მოიყარეს თავი, სადაც სხვადასხვა ქალაქებში უამრავი ტურნირი გაიმართა. ერთი მათგანი ზღვისპირა კურორტ ბელეკში მოეწყო, სადაც 17 წლის ეკა გორგოძე და 20 წლის სოფიო ქვაცაბაიაც გამოდიოდნენ. პირველი წრის შეხვედრები ორივემ მოიგო - გორგოძემ ორ სეტში ფრანგი ადელინ გონსალესი დაამარცხა, ქვაცაბაიამ - იგივე დროში ესპანელი ლუსია საის-პელეგრი. სამწუხაროდ, მომდევნო შეხვედრა ორივემ დათმო და მყისვე აზიაში გადაინაცვლეს, სადაც ამ დღეებში ახალ ტურნირში ჩაებმებიან.

აზიაში, კონკრეტულად, კი უზბეკეთში იმყოფება 17 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც უკვე ჩაება ნამანგანში, 15-ათასიან ტურნირში და პირველ წრეში ბელორუსი ანდრეი კარატჩენია მიიმე ბრძოლაში ორ სეტში დაამარცხა.

მასტანგაშვილის მოულოდნელი წარმატება

აღდგომის წინა დღეს მოულოდნელ წარმატებას მიაღწია 17 წლის სამთომოთხილამურე კონსტანტინე მასტანგაშვილი ფრანგულ ვალ ტორენში მიმდინარე საფრანგეთის ღია პირველობაში. მას საერთაშორისო ტრასებზე ჯერ არც რაიმე წარმატება მოუპოვებია და აქაც რეიტინგით მე-20 იყო, მაგრამ საფრანგეთის ცნობილი ზამთრის კურორტის ფერდობებზე ჩინებულად ისრიალა, წინ მხოლოდ ორი მასპინძელი გაუშვა და მესამე ადგილზე გავიდა. როგორც გითხარით, ეს მისი პირველი წარმატებაა.

ამავე ტურნირში, ოლონდ სხვა დისციპლინაში, ვერცხლის მედალი მოიპოვა 20 წლის იასონ აბრამაშვილმა, თუმცა ის ვახტანგაშვილზე ბევრად გამოცდილია და უკვე ოლიმპიადაზეც იასპარეზა.

ხელბურთელთა წარუმატებელი ტურნირი

საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა პორტუგალიაში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ცუდად იასპარეზა და სამივე თამაში წააგო - თურქეთთან 19:32, მასპინძლებთან - 17:39 და ბოლოს ბელგისთან - 24:34.

თბილისის ჩემპიონატი

ახლახან დასრულდა თბილისის ჩემპიონატი 12 წლამდე მოქალაქეთა შორის. გოგონებში ჩემპიონი ნინო ხომერეი გახდა, ბიჭებში - ნიკოლოზ ქუმსიაშვილი. აღსანიშნავია, რომ ტიტული ორივემ ვადაძე მოიპოვა, რისთვისაც ჯილდოდ 120 ლარი და ამ ასაკის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები მიიღეს.

18-წლამდელებმა კარი გაიჭახუნეს

18-წლამდე კალათბურთელთა ჩემპიონატში ბოლო ტურის წინ უმთავრესი - პლეი ოფში გამსვლელთა ვინაობა გარკვეული იყო და დარჩენილ თამაშებში საინტერესოს თითქმის არავინ ელოდა, მაგრამ ახალგაზრდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის უინტრიგო ტური ლამის ყველაზე საინტერესოდ აქციეს.

ტურის უმთავრეს მოულოდნელობად 1993-წლიანთა ნაკრების მიერ „ენერჯის“ დამარცხება იქცა - 81:72. ნაკრებს აქამდე ერთადერთი გამარჯვება მოუპოვებინა და მყარად იდგნენ ბოლო ადგილზე, „ენერჯი“ კი რეგულარულის მოგებას და პლეი ოფში შედარებით სუსტი მეტოქის დაბეგვებას უმიზნებდა. მათ საქმე მოთავებულად მიიჩნიეს და მწარედაც დაისაჯნენ. ბოლო შეხვედრებში ნაკრების თამაშებში გარკვეული პროგრესი ამკარად შეიმჩნეოდა და ის ერთადერთი მოგებაც ამ პერიოდზე მოდის, ახლა კი არც ლიდერს შეეუბნენ და პირველობის მაძიებელი გუნდი საბოლოოდ მესამეზე გადაისროლეს. მათგან საუკეთესო ბექა ბურჯანაძე იყო - 20 ქულა და 12 მოხსნა.

საინტერესო ამბავი მოხდა „რუსთავისა“ და I ექსპერიმენტული სკოლის შეხვედრაშიც. ამ ორთაბრძოლაში პლეი ოფის ბინადარმა რუსთაველებმა 21-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეს და შეხვედრა 99:92 მოიგეს, თუმცა ამ სენსაციურ წარმატებაზე უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვებულთა ლიდერის, აკაკი დვალის რეკორდია - მან 58 ქულა ჩააგდო, რასაც 28 მოხსნა დაუმატა! აღსანიშნავია, რომ დვალის ვილმა უმეტესობა ჩატენა და მაყურებელს ნამდვილი სანახაობა შესთავაზა.

ბოლო ტურში „დინამომ“ „მართველს“ 87:78 დაამარცხა და რეგულარულიც მოიგო. 23 აპრილიდან დასაწყებ პლეი ოფში ის „რუსთავს“ შეხვდება, „აკადემია“ კი „ენერჯის“ გაეჯიბრება.



მორაგვეობაც დაიწყო

სამშაბათს ჭაბუკ მორაგბეთა საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო B ლიგაში. ეს ლიგა ორ ზონადაა გაყოფილი - დასავლეთის და აღმოსავლეთის. დასავლეთის ზონაში პირველი ტური ხუთშაბათს დაიწყო და მასში 8 გუნდი გამოვა - ფოთის „აიტი“, ვანის „არგო“, ლანჩხუთის „ჩიბათი“, ჭიათურის „იმერეთი“, ბათუმის „ელიტი“ და ქუთაისის ორი გუნდი - „აია-1“ და „აია-2“. გარკვეული მოსაზრებებით, აქვე დაუშვს ერთადერთი გუნდი სამხრეთ საქართველოდან - „ახალციხე“.

აღმოსავლეთის ზონაში საწყისი თამაშები უკვე გაიმართა. ყველაზე დიდი ანგარიშით შარშანდელი ტურნირის ვიცე-ჩემპიონმა „ლელომ“ დებიუტანტი გუნდი, თელავის „მურტუკები“ დაამარცხა - 70:0. „ყოჩებმა“ „რანდებს“ 19:11 სძლიეს, „აკადემიამ“ „ხულიგანას“ - 48:0, „შევარდენმა“ კი „ივერიას“ 26:14 აჯობა. „ჯიქებმა“ ხარებს 26:7 მოუგეს, „არმაზი“ კი „უნივერსიტეტს“ პარასკევს ეთამაშება.

ხუთშაბათს ჩემპიონატი A ლიგაშიც დაიწყო, რომელიც ასევე ორ ზონადაა დაყოფილი. აქ დასავლეთის ზონაში 6 გუნდი გამოვა - ვანის „არგო“, ლანჩხუთის „ჩიბათი“, ჭიათურის „იმერეთი“, ბათუმის „ელიტი“ და ქუთაისური „აიას“ ორივე გუნდი. უფრო მრავალრიცხოვანია აღმოსავლეთის ზონა, სადაც 10 გუნდი გამოვა, რომელთაგანაც 7 თბილისურია - „ლელო“, „ყოჩები“ „შევარდენი“, „ჯიქები“, „აკადემია“, „არმაზი“ და „ივერია“. აქვე ითამაშებენ რუსთავის „ხარები“, ბორჯომის „თორი“ და თელავის „მურტუკები“.

მისასალმებელია მონაწილეთა ასეთი გეოგრაფია. ამდენი გუნდით ეროვნული პირველობაც ვერ დაიკვებნის, დასახელებულთა შორის კი რაგბის რამდენიმე ახალი კერაა.

ჩიკვილაძის ესპანური პრესა

18 წლის ბექა ჩიკვილაძე იმდენად კარგად თამაშობს ესპანეთის ახალგაზრდულ ჩემპიონატში, რომ მასზე უკვე პირენეული პრესაც წერს. ჩვენებური „პეიშეგალეოს“ ლირსებას იცავს, რომელიც უკვე გალისიის რეგიონის ოთხთა ტურნირის ფინალშია. ჩვენს ესპანელ კოლეგებს თუ ვენდობით, გუნდმა ეს ქართველის ჩინებული თამაშით მოახერხა, რომელიც თამაშში, საშუალოდ, 20 ქულას აგროვებს.

ამას წინათ „პეიშეგალეო“ გერმანიის 18-წლამდელებს ნაკრებსაც ეთამაშა, რომელიც ევროპის პირველობის A დივიზიონში სათამაშოდ ემზადება. ჩიკვილაძემ გერმანელებს 20 წუთში 15 ქულა ჩაუგდო, თუმცა თანაგუნდელები მარცხისგან ვერ იხსნა.

თუ „პეიშეგალეომ“ ოთხთა ტურნირი მოიგო, მაშინ ესპანეთის პირველობის ფინალურ ეტაპზე გადაინაცვლებს, სადაც უკვე გავიდა ორი ქართველი - ვალენსიელი თორნიკე შენგელია და ტენერიფელი გიორგი შვანგირაძე.



ახალი განათლება  
მთავარი რედაქტორი:  
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტატილაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.  
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru  
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ხელმოწერისთვის: 76096  
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უპრეზენტდება.

რედაქციის რეკვიზიტები:  
საქართველოს ბანკი  
ბ/კ 220101502,  
ს/კ 202058735,  
ა/ა 123631000